



თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი

მოქალაქის გზამკვლევი

2022 წელი, დეკემბერი

სარჩევი

შესავალი.....	3
თერჯოლის მუნიციპალიტეტის - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა.....	4
საქართველოს საბიუჯეტო სისტემა.....	6
საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.....	11
საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში.....	13
თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი.....	15
ბიუჯეტის შემოსულობები.....	15
ნაშთის ცვლილება.....	18
ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით.....	19
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.....	22
ინფრასტრუქტურის განვითარება.....	24
დასუფთავება და გარემოს დაცვა.....	28
განათლება.....	29
კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები.....	30
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.....	34
ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით.....	41

შესავალი

ბიუჯეტის მგზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში წლის განმავლობაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. მგზამკვლევი მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ მიზნობრიობას, დაგეგმილ აქტივობებს სძენს მეტ ტრანსფარენტულობას და საჯაროობას.

ბიუჯეტის მგზამკვლევი მოიცავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მოკლე აღწერას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილი იყო 15 ნოემბრამდე პერიოდში, რომელიც საკრებულოს მიერ დაუბრუნდა მერიას. ბიუჯეტის პროექტის განახლებული ვარიანტი წარედგინა საკრებულოს 10 დეკემბრისთვის. წარმოდგენილი გზამკვლევი სწორედ ბიუჯეტის პროექტის ამ ვარიანტს ასახავს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერს, რომელიც თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემოსავალია და მის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს. კაპიტალური ტრანსფერი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აისახება მას შემდეგ რაც საქართველოს მთავრობა მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2023 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ბიუჯეტის გზამკვლევი ასევე მოცემულია ინფორმაცია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ, საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებზე და თვითმმართველობების საბიუჯეტო პროცესზე.

გზამკვლევი მოყვანილი 2022 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ასახავს 2022 წლის 11 თვის მდგომარეობით არსებულ სურათს. წარმოდგენილი ციფრები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasury სისტემაში 2022 წლის 1 დეკემბერს მდგომარეობით არსებულ მონაცემებს. 2022 წლის გეგმიური მაჩვენებლები შესაძლებელია რიგ შემთხვევებში არ ემთხვეოდეს საკრებულოს მიერ დატკიცებული ბიუჯეტის მონაცემებს და განსხვავების მიზეზი შესაძლებელია იყოს სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები, რომელთა ასახვა ჯერ არ მომხდარა ბიუჯეტში ან 5%-იანი გადანაწილებით დაზუსტებული ასიგნებები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა

თერჯოლის მუნიციპალიტეტი — თვითმმართველი ერთეული იმერეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1930 წლამდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში, 1930 წლიდან გამოიყო ცალკე როგორც ჩხარის რაიონი. 1950 წლიდან ეწოდება თერჯოლის რაიონი, 2006 წლიდან - თერჯოლის მუნიციპალიტეტი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ჩხარის ორივე ნაპირზე, ზღვის დონიდან 170მ სიმაღლეზე. დასავლეთით – ქ. ქუთაისი. სამხ.აღმოსავლეთით – ზესტაფონის მუნიციპალიტეტი. ჩრდილოეთით –ტყიბულის მუნიციპალიტეტი. ჩრდ.აღმოსავლეთით – ჭიათურის მუნიციპალიტეტი. სამხრეთით – ბაღდათის მუნიციპალიტეტი.



თერჯოლაში 46 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი , 45 სოფელი. მუნიციპალიტეტი შემდეგ ტერიტორიულ ერთეულად იყოფა: 1 ქ. თერჯოლა და 18 თემი. ესენია: ალისუბანი, ახალთერჯოლა, ბარდუბანი, გოდოგანი, ეწერი, თუზი, კვახჭირი, ნახშირდღლე, რუფოთი, ზედა საზანო, სიქთარვა, ჩხარი, ძეგრი, გოგნი, ზედასიმონეთი, ქვედასიმონეთი, ღვანკითი, ჭოგნარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის რკინიგზის მაგისტრალი სამტრედია-ხაშურის ხაზზე. არის რკინიგზის სადგური სოფელ კვახჭირში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საქართველოს საავტომობილო მაგისტრალის და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები: თერჯოლა-ტყიბული და ქუთაისი-ვარციხე.

ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, მათ შორის მევენახეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მარცვლეული კულტურების (სიმინდი) მოყვანა და მეცხოველეობა.

მუნიციპალიტეტში არის ჩაის და ღვინის ქარხნები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის პიდროელექტროსადგური "ძეგრულაჰესი".


თერჯოლის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია ტურიზმი. ყველაზე ცნობილი ტურისტული ობიექტებია: კურორტი „სიმონეთი“, ნავენახევის



მღვიმე, სკანდესციხე, ბერციხე, ღვანკითის დედაღვთისა, ჩიხორისა და ჩხარის შუა საუკუნეების ნაქალაქარების ნაშთები, ძვერის არქიტექტურული კომპლექსი, საგვარჯილეს გამოქვაბული, გოგნის წმინდა გიორგის ტაძარი, დავით და სერგო კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი, შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლმუზეუმი, სოფელ გოდოგანში თამარის თაღებიანი ხიდი. სოფლებში ასევე მრავლადაა ისტორიული ძეგლები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 2022 წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 30,4 ათას კაცს შეადგენს (გრაფიკი #1). მოსახლეობის სიმჭიდროვე - 99,6 კაცი/კმ².

გრაფიკი #1



* გრაფიკის თავსებადობის მიზნით, მონაცემები არ მოიცავს ქ. თბილისის მაჩვენებლებს

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო, საკრებულო შედგება 30 წევრისაგან. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოა მუნიციპალიტეტის მერია, რომელსაც ხელმძღვანელობს პირდაპირი არჩევნებით არჩეული მუნიციპალიტეტის მერი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://terjola.gov.ge/>

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების შესასრულებლად, ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით, სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა“.

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget“) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს. დღევანდელი მნიშვნელობით ამ ტერმინის გამოყენება ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება ინგლისის თემთა პალატაში. როდესაც მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იყო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.

დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროცნობი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანოების მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა აერთიანებს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მონაცემების მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება ასევე, შესაბამისი დონის ხელისუფლებების მიერ.

საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების ყველა შემოსულობის და გადასახდელის აღრიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება სახელმწიფო ხაზინის სისტემის მეშვეობით.

გარდა ამისა არსებობს და ფინანსური ანგარიშგეგმებისათვის გამოიყენება ბიუჯეტები, რომლებიც არ ექვემდებარება დამტკიცებას. ესეთი ბიუჯეტი წარმოადგენს, ზემოთ მოყვანილი, შესაბამისი დონის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. ესენია: საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი, სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკების ნაერთი ბიუჯეტი, ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი და ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი ბიუჯეტები არ მტკიცდება, მისი შედგენა

მნიშვნელოვანია ქვეყნის ფინანსური, საბიუჯეტო ანგარიშგებისათვის. ბიუჯეტების ამ სახით კონსოლიდაციის გარეშე არ იქნება სრულყოფილი თვითმართველობის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მთლიანად ქვეყნის დონეზე საბიუჯეტო სისტემის ანალიზი და ანგარიშგება.

როგორც ავლნიშნეთ რიგი ბიუჯეტები არ ექვემდებარება დამტკიცებას და ეს ბიუჯეტები წარმოადგენს დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. დამტკიცებას ექვემდებარება შემდეგი ბიუჯეტები:

- სახელმწიფო ბიუჯეტი - მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - მტკიცდება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი - მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს მიერ.
- სსიპ-ების და ააიპ-ების ბიუჯეტები - მტკიცდება კანონმდებლობით დადგენილი წესით (რიგ შემთხვევებში ხელმძღვანელის მიერ, რიგ შემთხვევაში მაკონტროლებლის ან მაკონტროლებლის თანხმობით და ა.შ.).

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტზე. კერძოდ იმ საკითხებზე, თუ რას წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტი, რა როლი უჭირავს მას ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში, რა სახის კავშირი და დამოკიდებულება აქვს თვითმმართველობების ბიუჯეტებს სხვა დონის ბიუჯეტებთან.


თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელსაც აქვს საკუთარი ადმინისტრაციული საზღვრები. ხოლო, ადგილობრივი თვითმმართველობა არის შესაბამის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეთა უფლება, მათ მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. სწორედ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ამ საკითხების გადაწყვეტის ძირითად და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილება არის ის უფლებამოსილება, რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. ხოლო, დელეგირებული უფლებამოსილება - სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილება, რომელიც შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.


ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები და სხვა ბიუჯეტიდან მიღებული არასაკუთარი შემოსულობები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება ბიუჯეტის მიერ მიღებული სესხი და გრანტი, აგრეთვე სპეციალური, კაპიტალური და მიზნობრივი ტრანსფერები. ბიუჯეტის ყველა სხვა შემოსულობა წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობას, რომელთა გამოყენებაც მუნიციპალიტეტს შეუძლია დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად. სწორედ საკუთარი შემოსულობები და მათი დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მუნიციპალური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.

თუ ვნახავთ გასული წლების მუნიციპალიტეტების შემოსულობების ნაერთ მაჩვენებლებს გამოჩნდება, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლები სწორედ მისი საკუთარი შემოსულობებია. მაგალითისთვის, 2021 წლისათვის მუნიციპალიტეტების ნაერთ შემოსულობებში საკუთარი შემოსულობების ფაქტიური მაჩვენებელი 82% იყო (გრაფიკი #2).

გრაფიკი #2



გრაფიკ #3-ში მოცემულია საკუთარი შემოსავლების სტრუქტურა 2021 წლის ფაქტიური შემოსავლების მიხედვით. გრაფიკში მოცემული სხვა შემოსავლების მონაცემი აერთიანებს შემოსავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციის როგორც სხვა შემოსავლებიდან, ასევე, არათინანსური (კაპიტალური შემოსავლები) და თინანსური (ძირითადად ნაშთის გამოყენება) აქტივებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში მობილიზებულ თანხებს.



უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების როგორც ფორმირებაზე ასევე მის სტრუქტურაზე. კერძოდ:

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორცილდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტების დასაფინანსებლად მიიმართება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19,0%.

როგორც მონაცემებიდან ჩანს მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილო უჭირავს დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებს (52%), რომელმაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2019 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, ჩაანაცვლა გათანაბრებითი ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი. უნდა აღინიშნოს, რომ გათანაბრებითი ტრანსფერთან შედარებით დღგ-მ მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტების შემოსავლები.

მარტივად აღსაქმელად, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები ჩვენ პირობითად შეგვიძლია დავყოთ 3 ნაწილად:


საგადასახადო შემოსავლები - შემოსავლის ეს წყარო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების გადასახადის 100%-ს და დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილს, რომლიც გამოთვლაც ხდება სპეციალური ფორმულით სადაც მონაწილეობს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები; შემოსავლის ეს წყარო მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნება.

გრანტები (ტრანსფერები) - საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობების მიერ გამოყოფილ გრანტები. ასევე, სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერები. მათ შორის, მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალურ ტრანსფერები (2019 წლიდან აღარ არსებობს გათანაბრებითი სტრანსფერი). შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნებათ.

სხვა დანარჩენი შემოსავლები - შემოსავლის ამ წყაროში გავერთიანეთ ბიუჯეტის სხვა შემოსავლებს მიკუთვნებული შემოსავლები (მაგ. მოსაკრებლები, ჯარიმები, დივიდენდები, ლიცენზიები და ა.შ.), კაპიტალური შემოსავლები (შემოსავლები პრივატიზაციიდან), ფინანსური აქტივების (ნაშთის გამოყენება, სესხის დაბრუნება) და ვალდებულებების (საგარეო ან საშინაო სესხის აღება) ცვლილებით მიღებული შემოსავლები. ჩამოთვლილი შემოსავლებიდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება საბიუჯეტო კლასიფიკაციით კლასიფიცირებული სხვა შემოსავლები, კაპიტალური შემოსავლები და ფინანსური აქტივების ცვლილებიდან (ძირითად შემთხვევებში ნაშთი) მისაღები თანხები. შემოსავლების ზემოაღნიშნული კლასიფიცირების მიხედვით გრაფიკ #4-ზე მოცემულია 2021 წელს, ჯამურად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩარიცხული თანხები და მათი პროპორცია.

გრაფიკი #4

მუნიციპალიტეტების 2021 წლის ნაერთი შემოსავლები ძირითადი წყაროების მიხედვით (თანხა მლნ ლარში)



საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

საქართველოში დღეს მოქმედი საბიუჯეტო სისტემა რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტით. სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისთანა დაკავშირებული დებულებები ასევე განვრცობს საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავში. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსი“-ს მე-5 კარი მთლიანად შედგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ეკონომიკური საფუძვლების დებულებებისაგან. ასევე, ამავე ორგანული კანონის გარდამავალი დებულებები არეგულირებს მუნიციპალიტეტის ფინანსებთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს.

ქვეყანაში საბიუჯეტო მონაცემების ძირითად და საკვანძო საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-თ. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი მიღებული იქნა 2009 წელს და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. საბიუჯეტო კოდექსმა ბევრ სხვა სიახლესთან ერთად გააერთიანა სხვადასხვა დონის ბიუჯეტების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მანამდე რამოდენიმე კანონით იყო დარეგულირებული. შედეგად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ამოქმედებისთანავე, სხვა კანონებთან ერთად, გაუქმდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი შედგება ექვსი კარისაგან. მათ შორის, პირველი, მეორე და მეექვსე კარი საერთოა ბიუჯეტებისთვის და შესაბამისად, ადგენს ნორმებს ყველა დონის

ბიუჯეტისთვის. კოდექსის მე-3 კარით დარეგულირებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები, მე-4 კარი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო წესებსა და პროცედურებს, ხოლო მე-5 კარში მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები.

გარდა აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი საკანონმდებლო აქტებია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო აუდიტის შესახებ“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, „ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები და სხვა.

ქვეყანაში საბიუჯეტო სისტემას, გარდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა, ასევე არეგულირებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ამ აქტებით დამტკიცებული მეთოდოლოგიები. ასევე, საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობისას ყოველწლიურად გამოიცემა კანონქვემდებარე ინდივიდუალური აქტები, რომლებიც გამომდინარეობს შესაბამისი ნორმატიული აქტებიდან.

საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტებიდან უნდა გამოიყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ და „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“. ეს ორი ბრძანება არეგულირებს როგორც სახელმწიფო დონეზე საბიუჯეტო მონაცემების საკითხებს, ასევე, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულების წესებსა და პროცედურებს.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით კლასიფიცირდება ბიუჯეტში მისაღები და ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი ნაკადები. დამტკიცებული კლასიფიკაცია ეფუძნება და შესაბამისია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. იგი ერთიანია საქართველოს ყველა დონის ბიუჯეტისათვის. კლასიფიკაციით განსაზღვრულია თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს ბიუჯეტის ბალანსს, მოცემულია დეტალური მეთოდური მითითებები ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელეების სწორი აღრიცხვა-ანგარიშგებისთვის.

ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის სავალდებულო გახდა 2013 წლიდან. სწორედ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს იმ წესებსა და ფორმას, თუ რა პერიოდში და რა სტრუქტურით უნდა განხორციელდეს წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, დამტკიცება, აღსრულება და ანგარიშგება. მეთოდოლოგია ადგენს როგორც ზოგად დებულებებს, რომლებიც საერთოა ყველა დონის ბიუჯეტისათვის, ასევე ცალ-

ცალკე, თითოეული დონის ბიუჯეტისათვის, განსაზღვრავს ბიუჯეტის და მისი პროგრამების შედგენის დეტალურ ფორმატებს.

2018 წელს განახლდა მეთოდოლოგიის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო საკითხებს. ჩვენს შემთხვევაში საგულისხმოა სიახლეები რომლებიც დაადგინა განახლებულმა მეთოდოლოგიამ და რომლებიც მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო გახდება 2020 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესიდან.

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში

თვითმმართველობების ბიუჯეტის პროექტის მომზადების, საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენის და დამტკიცების პროცედურები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XII თავით. ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო, რომელიც ამ პროცესში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი მეთოდური მითითებებით. მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადების, შედგენის, დამტკიცებისა და ანგარიშგების პროცესის მოკლე აღწერა მოცემულია გრაფიკ #5-ზე.

გრაფიკი #5




თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი

ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენ განვიხილავთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2021-2023 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 3 წლის მიხედვით.

გრაფიკი #8




თერჯოლის მუნიციპალიტეტის შემოსულობების განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლები არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერებს. მათ შორისაა, რეგიონების განვითარების ფონდიდან ტრანსფერები ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის და განათლების ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერები. ამ ტრანსფერების გამოყოფის შემდგომ 2022 წლის მაჩვენებელი გაუტოლდება გასული წლის მაჩვენებელს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში.

ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი (ე.წ. Tax share), რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.


გრაფიკი #9

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021-2023 წლების ბიუჯეტი, შემოსულობების წყაროების მიხედვით



გრაფიკი #10

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021-2023 წლების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროების წილი მთლიან შემოსულობებში




საგადასახადო შემოსავლების ამ რეფორმის მიხედვით თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტმა დამატებითი ღირებულების გადასახადიდან უნდა მიიღოს 12,6 მლნ ლარი, რაც ქონების გადასახადთან ერთად ჯამში 14,9 მლნ ლარს შეადგინს. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების წილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლების 90,6% შეადგინა. 2019 წლამდე არსებულ მონაცემებთან შედარებით მთლიან შემოსავლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგადასახადო შემოსავლების წილი, რაც დადებითი მოვლენაა მუნიციპალიტეტისათვის იმ მხრივ, რომ საგადასახადო შემოსავლები პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკის ზრდას და მასთან ერთად იზრდება. ანუ მშპ-ს ზრდის პარალელურად მოსალოდნელია მუნიციპალური ბიუჯეტების და მათ შორის თერჯოლის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდაც.

ვინაიდან 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი ამ ეტაპისათვის არ ითვალისწინებს წლის განმავლობაში მისაღები ტრანსფერების მნიშვნელოვან ნაწილს, გრაფიკ #11-ზე ანალიზისათვის წარმოდგენილია 2022 წლის ბიუჯეტის ტრანსფერების შემადგენლობა.

გრაფიკი #11


თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ტრანსფერები



სხვა შემოსავლები და კაპიტალური შემოსავლები თერჯოლის 2023 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში შემდეგი წილობრივი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი: სხვა შემოსავლები - 5,4% (898.0 ათასი ლარი), არაფინანსური აქტივების კლება - 1,1% (300.0 ათასი ლარი).

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა მოცემულია გრაფიკ #12-ზე:

გრაფიკი #12




ნაშთის ცვლილება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის არსებული რედაქცია გადასახდელების დაფინანსებისათვის ნაშთის გამოყენებას არ ითვალისწინებს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021-2023 წლების ბიუჯეტების შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განსაზღვრულია შემდეგნაირად:

გრაფიკი #13

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთის ცლილება 2021-2023 წლებში




ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის გადასახდელები (10 დეკემბრის მდგომარეობით) განსაზღვრულია 16,5 მლნ ლარით (გრაფიკი #14).



გრაფიკი #14

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გადასახდელები 2021-2023 წლებში




■ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

გრაფიკებში #15-#16 მოცემულია 2021-2023 წლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #17 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 3 წლის მიხედვით (2021-2023 წლები).




თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2021-2023 წლებში
(ათას ლარებში და %-ში)



2023 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები	გეგმა ათას ლარებში
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	4,909.0
ინფრასტრუქტურის განვითარება	1,300.0
დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,500.0
განათლება	4,346.0
კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,985.0
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,460.0
სულ ასიგნებები	16,500.0

გრაფიკი #18




ინფორმაცია ყველა ზემოაღნიშნულ პრიორიტეტზე და მასში შემავალ პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ წარმოდგენილია შემდგომ თავებში.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 4,909.0 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 29,8%-ს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #19-ზე.

გრაფიკი #19

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2021-2023 წლები



2023 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან ფინანსდება შემდეგი ხარჯები:


მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსება

	ათასი ლარი
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4,909.0
საკრებულო	977.0
მერია	3,576.0
სამხედრო აღრიცხვის სამსახური	185.0
სარეზერვო ფონდი	50.0
მგფ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	91.0
კადრების მომზადება-გადამზადება	20.0
გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	10.0

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკი #20-ზე.

გრაფიკი #20

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები -2023 წელი




ინფრასტრუქტურის განვითარება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 21% გამოყოფილია ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 1,300.0 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოდგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. კიდევ ერთხელ ავლნიშნავთ, რომ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოსაყოფ კაპიტალურ ტრანსფერს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #21-ზე.

გრაფიკი #21

ინფრასტრუქტურის განვითარების პროორიტეტის დაფინანსება 2021-2023 წლებში



2023 წლის ბიუჯეტის პროექტით პროორიტეტის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი პროგრამები:


თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურის განვითარების პროორიტეტის დაფინანსება

ათასი
ლარი

	სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები
საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლოატაცია	260.0	260.0	-
წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	270.0	270.0	-
გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	450.0	450.0	-
კომუნალური მეურნეობის განვითარება	110.0	110.0	-
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	10.0	10.0	-
საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურება, ზედამხედველობა	200.0	200.0	-

გრაფიკი #22

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ძირითადი პროგრამები - 2023 წელი



საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა - პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თერჯოლის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ: პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი 1 პროექტის განხორციელება:

- თერჯოლა - ლვანკითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;

გარდა აღნიშნული პროექტებისა, 2023 წლის განმავლობაში გზების კაპიტალური შეკეთება შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვა გზებზეც. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.

პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება:

- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის მონესრიგება;
- საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებისთვის საჭირო ინვენტარის შეძენა;
- საგზაო ვიდეოკამერების მონყობა/ექსპლოატაცია.

წყლის სისტემების განვითარების პროგრამა - პროგრამა ითვალისწინებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 18 ტერიტორიულ ერთეულში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების

სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას. მუნიციპალიტეტის მომართვიანობის შემთხვევაში რიგ შემთხვევებში საკუთარი ძალებით, ხოლო რიგ შემთხვევებში ააიზ თერაპიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ. სატენდერო პროცედურების დაცვით ხორციელდება ახალი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის უწყვეტ რეჟიმში სასმელი წყლით მომარაგებას. ხდება დაზიანებული წყლის საქაჩი ტუმბოების შექენა და დემონტაჟი/მონტაჟის სამუშაოების შესრულება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი 1 პროექტის განხორციელება:

- თერაპია - სოფელ ახალთერაპიაში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა.

პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება:

- წყლის სატუმბო ჯაბურღილების ელ-ენერჯის ხარჯების ანაზღაურება;
- სანიაღვრე სისტემის გაწმენდა/რეაბილიტაცია;
- სანიაღვრე და საკანალიზაციო ჯების დაზიანებული სახურავების შეკვლა. ახალი სანიაღვრე ქსელების მოწყობა;

გარე განათების პროგრამა - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს 18 ტერიტორიულ ერთეულში. ქვეპროგრამების ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 5251 სანათი ნერტილის მოვლა პატრონობა და ელ-ენერჯის დანახარჯის ანაზღაურება. გარე განათების ქსელი მოვლა პატრონობის ქვეპროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისთვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: 1) მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა 2) ამორტიზებული და დაზიანებული ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება. 4) დაზიანებული სადენის აღდგენა შეკეთება.

კომუნალური მეურნეობის განვითარება - მუნიციპალიტეტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ობიექტების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და შენობების სახურავების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.


ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ადმინისტრაციული სხვადასხვა დანიშნულების შენობების მიმდინარე

სარემონტო სამუშაოები, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული შემდგომი დაზიანებები და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის ასიგნებების 15% გამოყოფილია დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 2,500.0 ათას ლარს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #23-ზე.

გრაფიკი #23




დასუფთავება და კეთილმოწყობა - პროგრამის ფარგლებში ა(ა) იპ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგავშემკრები მანქანა. ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ თერჯოლიდან და მუნიციპალიტეტში შემავალი 18 ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულიდან. შეგროვებული ნარჩენების გატანა ხდება კობრის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებულია 641 ცალი სტანდარტული ლითონის და პლასტმასის 1 100 ლ ტევადობის ურნა, მათ შორის 135 ცალი

განთავსებულია ე. თერჯოლაში და 506 მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 30-40 ტონა ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 91 200 მ² ქუჩების, 1 100 მ² ტროტუარების და 2 100 მ² სკვერების და მისი მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება. პროგრამიდან ფინანსდება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურების განწევა და სხვა სამუშაოების შესრულება.

განათლება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი განთლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 4,346.0 ათასი ლარს. პრიორიტეტის დაფინანსება ბოლო 3 წლის განმავლობაში წარმოდგენილია გრაფიკ #24-ზე. 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის (10 დეკემბრის მდგომარეობით) მონაცემები წინა წლებისგან განსხვავებით არ ითვალისწინებს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებასა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამებს, რომლებლთა დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი ტრანსფერით..

გრაფიკი #24



განათლების პრიორიტეტის ფარგლებში 2021-2023 წლების ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:


განათლების პრიორიტეტის დაფინანსება 2021-2023 წლებში (ათასი ლარი)

	2021	2022	2023
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა	101.4	120.0	136.0
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	2795.3	3366.8	3900.0
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	284.4	2874.7	5.0
საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მონაცობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	613.1	1025.7	5.0
სკოლისგარეშე განათლება	186.9	247.0	300.0
სულ	3,981.1	7,634.2	4,346.0

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება - საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 26 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 980 -ი ბავშვი. მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას. ბავა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 447 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. სააღმზრდელო ადმინისტრაციაში-12.

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები


პრიორიტეტის დაფინანსებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 1,985.0 ათასი ლარის გამოყოფას, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 12.0%-ია.



პრიორიტეტის ფარგლებში 2023 წლის ბიუჯეტის პროექტიდან გათვალისწინებულია შემდეგი 5 ძირითადი პროგრამის დაფინანსება:

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები		ათას ლარში
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	670.0
05 02	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,160.0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	30.0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	65.0
05 05	სავაჭარო-საქმიანობა	60.0
სულ		1,985.0

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები



სპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 შემდეგი ქვეპროგრამა: 1. სპორტული ღონისძიებების (20,0 ათასი ლარი) და 2. თერჯოლის სპორტული სკოლის (650,0 ათასი ლარი) ქვეპროგრამები.

სპორტული სკოლების ხელშეწყობა - მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფუნქციონირებს სპორტის სასახლე, 4 სპორტული მოედანი და რამოდენიმე დარბაზი. აღნიშნულ ობიექტებზე დასაქმებულია 23 მწვრთნელი. ცენტრში ფუნქციონირებს სპორტის 13 სახეობა, ეს სახეობებია: ძიუდო-; თავისუფალი ჭიდაობა; ბერძნულ-რომაული; ქართული ჭიდაობა;სამბო,ტანვარჯიში, ფეხბურთი; კალათბურთი -; რაგბი-,უშუ, კინბოქსი, ხრიდოლი, ჭადრაკი, ამ სახეობების მიხედვით მომზადებას გადის 370 მოზარდი. მუნიციპალიტეტი სპორტული ცენტრის მეშვეობით ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს და ახორციელებს მათ დაჯილდოვებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ წრეებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას ქვეყნის მასშტაბით.

სპორტული ღონისძიებები - თერჯოლის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. სწორედ ამისთვის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახური ახორციელებს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს: „შმაგი სოფრომადის სახელობის ტურნირი ფეხბურთში“; „კოტე ჩარეჩიშვილის სახელობის ტურნირი ჭადრაკში“; „სპორტის კვირეული“; " და სასკოლო სპორტული ოლიმპიადა.

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე ჯამში გამოყოფილია 1,160.0 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება შემდეგი 5 ქვეპროგრამა:


კულტურის განვითარების ხელშეწყობა	ათას ლარში
კულტურის სახლები	420.0
სახელოვნებო სკოლები	265.0
სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	230.0
ბიბლიოთეკები	170.0
მუზეუმები	75.0
სულ	1,160.0

სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის ცენტრი -ორგანიზებას უწევს ფილიალების საერთო საქმიანობას, ხელს უწყობს ფილიალების ადგილობრივ, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობას. შემოქმედებითი კლუბების, თეატრის, ცეკვის და სიმღერის ანსამბლების ხელშეწყობას და განვითარებას, სახელოვნებო განათლების სფეროში მოსწავლეებისათვის მოქნილი პროგრამების შემუშავებას, შიდა ტურიზმის განვითარებას, ახალი ტურისტული ობიექტების აღწერა-დასურათება, ინვესტორების მოზიდვას, რაც წინაპირობაა ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებისათვის. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურის ცენტრი 24 თანამშრომლით. კულტურის ცენტრი ხელმძღვანელობს შემოქმედებითი საღამოების, ინტელექტუალური და შემეცნებითი ხასათის ღონისძიებების, ხსოვნის საღამოების, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების განვლილი შემოქმედებითი ცხოვრებისადმი მიძღვნილი საღამოების, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და გამორჩეული თარიღების აღსანიშნავი ღონისძიებების დაგეგმვასა და გამართვას. ასევე თეატრალური, საკონცერტო, სანახაობრივი, გასართობი, საინფორმაციო, საგამოფენო, ლიტერატურული, სანესჩვეულებო და ა.შ ღონისძიებების პროგრამების მომზადებასა და წარმოდგენას. გამოავლენს ხალხურ მთქმელს, ნიჭიერ იინდივიდუალურ შემსრულებლებსა და კოლექტივებს. ხელმძღვანელობს ხალხური რენვის (ხელოსნობა, ქარგვა, კერვა, თეჯა, გობელინი, და ა .შ) მივიწყებული დარგების აღორძინებას და პოპულარიზაციას.

კულტურის სახლები- მოიცავს თერჯოლის კულტურის სახლს, ზედა სიმონეთის და სოფელ სიქთარვის კლუბებს. თერჯოლის კულტურის სახლში ფუნქციონირებს შემოქმედებითი კოლექტივები, თეატრი, ცეკვის და სიმღერის ანსამბლები. მათი მონაწილეობით ხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, როგორცაა ღირსსესანიშნავი

თარიღებისადმი მიძღვნილი კონცერტები, იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და . ა. შ. მუნიციპალურ ანსამბლების პოპულარიზაციის და განვითარების მიზნით იგეგმება გასტროლები ქვეყნს შიგნით და საზღვარგარეთ.

გრაფიკი #27



ბიბლიოთეკების ხელშეწყობა - ქვეპროგრამის ფარგლებში ბიბლიოთეკები მოიცავს თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკას, საბავშვო განყოფილებას, სიქთარვის და ჭოგნარის ბიბლიოთეკებს. ბიბლიოთეკები 27 საშტატო ერთეულით ყოველდღიურად ემსახურება სხვადასხვა ასაკის მკითხველს და ეხმარება ენციკლოპედიების, ლექსიკონების და სხვადასხვა ლიტერატურისა და ინფორმაციის მოძიებაში. ბიბლიოთეკების საერთო წიგნაღი ფონდი 165 000 წიგნს შეადგენს, რომელიც ყოველწლიურად ახლდება ახალი ლიტერატურით.

მუზეუმების გაერთიანება - მოიცავს დავით კლდიაშვილის, შალვა და პეტრე ამირანაშვილების და ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. მუზეუმები 11 საშტატო ერთეულით ახორციელებენ სამეცნიერო- კვლევით, კულტურულ- საგანმანათლებლო ღონისძიებებს, მუზეუმების ფონდების აღრიცხვას, სისტემატიზაციას და დაცვას. ვიზიტორთა რაოდენობა მუზეუმებში დაახლოებით 2500-ია. მუზეუმების მულტიმედიაური აღჭურვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ვიზიტორთა რაოდენობის საგრძნობლად ზრდას, ასევე მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიული და ეპოქალური ნივთებით მუზეუმების გამდიდრება, ტელევიზიებთან და თეატრებთან თანამშრომლობა,

გასვლითი გამოფენები და მუზეუმის ფონდში დაცული მასალების გაცნობა მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის.

ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება - პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, იგი ორიენტირებულია: მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, მოსახლეობის მაქსიმალურ ინკლუზიაზე მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში.

პროგრამა ასევე მოიცავს ახალგაზრდობისთვის გასართობი, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელებით ახალგაზრდებს საკუთარი უნარების რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცემა.


პროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით გასამართ სხვადასხვა ახალგაზრდულ ღონისძიებებზე პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირებას, სპორტულ ოლიმპიადებისთვის მონაწილეთა ფორმების შეძენას და მათ დაჯილდოებას, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მონაწილეთა, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 1,460.0 ათასი ლარის გამოყოფას, რაც მთლიანი ბიუჯეტის ასიგნებების 8,8%-ს შეადგენს.

გრაფიკი #28


ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები 2021-2023 წლებში



2023 წელს პრიორიტეტის საერთო დაფინანსების 89% მოდის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე (1,300.0 ათასი ლარი), ხოლო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე - 11% (160.0 ათასი ლარი).

გრაფიკი #29

ჯანმრთელობისა და მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა



ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - პროგრამის ფარგლებში თერჯოლის ჯანდაცვის ცენტრი ძირითადად ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- 1 ეპიდზედაცხვადელობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლი)
- 2 იმუნოზაცია.
- 3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა

4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დანესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

5. ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან.

სოციალური დაცვის პროგრამებისათვის თერჯოლის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 1 300.0 ათასი ლარის გამოყოფას. აღნიშნული თანხის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი 17 ქვეპროგრამა:

06 02 01	სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები (ათასი ლარი)	
1	მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა	200.0
2	სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ერთჯერადი პროგრამა	250.0
3	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახაშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა	50.0
4	შპმ ბავშვთა დღის ცენტრების დაფინანსება	12.0
5	უკიდურესად გაჭირვებაში და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარება	70.0
6	პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარების პროგრამა	45.0
7	დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა	80.0
8	ეპილეფსიით ან პარკისონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების პროგრამა	30.0
9	ახალი პროგრამა(ბავშვთა განყოფილების პროგრამა)	20.0
10	მარტოხელა მშობლის დახმარების პროგრამა	20.0
11	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა	460.0
12	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიითა და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა დახმარების პროგრამა	32.0

13	უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინით, ქირით დახმარების პროგრამა	20.0
14	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური დახმარების პროგრამა	2.0
15	ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება	1.0
16	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების პროგრამა	5.0
17	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	3.0
	სულ	1 300.0

მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის მიზანია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს, რომელთა საარსებო პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, უმუშევრობით გამონვეული პრობლემები იმდენად მძიმეა, რომ საჭიროებენ თანადგომას, თითოეულ ოჯახზე ერთჯერადად გაიცემა 100 დან 200 ლარამდე ფინანსური დახმარება.

სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ერთჯერადი პროგრამა - ითვალისწინებს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისათვის დახმარების გაწევას სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში საყოველთაო პროგრამით ან კერძო დაზღვევით დაუფინანსებელი გეგმიური ოპერაციის ან გამოკვლევის, ასევე ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით, არ დაფინანსდება ესთეტიკური მიზნით შესრულებული ოპერაციები და საკეისრო კვეთა. თანადაფინანსების მოცულობა განისაზღვრება პაციენტთა ასანაზღაურებელი თანხიდან:

- ა) 1 000 ლარამდე თანხის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხის 50%-ის ოდენობით;
- ბ) 1000 ლარიდან- 3000- ლარამდე 500 ლარით.
- გ) 3000- ან 5000- მდე 800 ლარით.
- დ) 5000- ლარიდან ზემოთ 1000 ლარის ოდენობით.


ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა - პროგრამა განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა

ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების განწევას. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს ფინანსური დახმარება მიეცემა თითოეულ ახალშობილზე ერთჯერადად, შემდეგი ოდენობით:

- ა) პირველ და მეორე ახალშობილზე 200 ლარი;
- ბ) მესამე ახალშობილზე 250 ლარი;
- გ)მეოთხე, მეხუთე და ა, შ ახალშობილზე 300 ლარი;
- დ) ტყუპების შეძენის შემთხვევაში 600 ლარი;

მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების პროგრამა -ამ პროგრამით მოსარგებლე ადამიანებს მიეცემათ მედიკამენტების ტალონი 150 ლარის ოდენობით- ერთჯერადად, თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური კანონმდებლობის შესაბამისად უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით ელექტრონული ტენდერის შედეგად გამარჯვებულ კომპანიასთან.

გრაფიკი #32



პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარების პროგრამა- პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირველი ჯგუფის მოქალაქეებს დაეხმაროს კომუნალური გადასახადების გადახდაში- 50 ლარის ოდენობით ყოველთვიურად.

უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის პროგრამა - პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსახლკარო ოჯახების აღრიცხვა, რომელთაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ფართი და დროებითი საცხოვრებელით უზრუნველყოფა , ქირავნობა, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, არა უმეტეს 200 ლარისა თვეში.

ღიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა - პროგრამა ითვალისწინებს თერაპიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ღიალიზზე დამოკიდებული სახელმწიფო პროგრამაში ჩართული მოქალაქეების სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებას. თანხა გაიცემა ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით თითოეულ ბენეფიციარზე.


მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა - პროგრამა ითვალისწინებს მარტოხელა მშობლების მატერიალურ დახმარებას (18 წლამდე ბავშვის მშობელი). დახმარება გაიცემა ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით.

სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა - პროგრამა განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან თერაპიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეებს,რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, ამასთანავე პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან შექმნას,მცირეფართიანი სახლების მშენებლობას მერია კანონით დადგენილი წესით ახორციელებს- 45000 ლარის ფარგლებში. ხანძრის ან სხვა სტიქიური მოვლენის შემთხვევაში,პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებს შესაძლებელია მიეცეს დახმარება არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის გადასახდელეები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით


2021-2023 წლების მიხედვით თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში დაიხარჯება 58,929.8 ათასი ლარი. ამ ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია #30-ზე და #31 გრაფიკებზე:

გრაფიკი #30



გრაფიკი #31

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 2021-2023 წლებში



როგორც გრაფიკებიდან ჩანს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბოლო 3 წლის ბიუჯეტის ხარჯების 37% (24,1 მლნ ლარი) კლასიფიცირდება სუბსიდიების მუხლით.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის მიხედვით სიდიდით მეორე ბოლო 3 წლის მიხედვით არის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 21,9 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 33%).

შემდეგ მოდის საბიუჯეტო კლასიფიკაციის შრომის ანაზღაურების მუხლი საიდანაც ბოლო 3 წლის მიხედვით ჯამში დაიხარჯება 8,3 მლნ ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 13%-ია და ა.შ. ინფორმაცია წარმოდგენილია #30 და #31 გრაფიკებზე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან განეული გადასახდელების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროპორცია ბოლო 3 წლის მიხედვით მოცემულია გრაფიკ #32-ზე.

გრაფიკი #32

მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები 2021-2023 წლებში

